ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

5
83

ნახ. ჯ. ფალავანდიშვილი

— რატომ მაჩერებთ?! ახლაც იტყვით ჩემზე, სამუშაო საათებში დატვირთული არ არისო?!

ეფექტური ფანჯარა

მთელი დღის ნაჯაფარ ცოლ-ქმარს ღრმად ჩასძინებოდა. არც ისე გვიანი იყო. ეძინათ ტკბილად და იქნებოდნენ ასე კარგა ხანს, რომ კაკონას მხრიდან მოსულ წივილ-კივილის ხმას არ გამოეყვანა ისინი ძილქუშიდან. თითქოს ამ წუთს ელოდნენო, ერთდროულად ცქვიტეს ყურები ორთავემ. უფრო და უფრო მატულობდა წივილ-კივილი, თითქოსდა, ახლოვდებოდა კიდეც...

აივანზე გავიდნენ. სხვებსაც გაეგოთ უბედურების ზარი და აივნებსა და ეზოებში გამოფენილიყვნენ. ზოგი ქუჩაშიც გამოსულიყო. იყო გადაძახილ-გადმოძახილი. ვერ გაეგოთ, საიდან მოდიოდა კივილის ხმა. ერთხანს ყველაზე ხანდაზმულ პელოებებოზეც მიიტანეს ეჭვი, მაგრამ ისევ უარყვეს — ამდენი დამტირებელი ვინ ეყოლებაო?!. ამ დროს ერთმა მეზობელმა დაიძახა, ანიკოს გოგო მოუტაცია ვილაც ფილოლოგსო!.. ნამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მალე კი თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვებიც გაისმა: „საწყალი ანიკო!“, „ნატანჯი ქალი!“ „რა წვალებით გამოზრდილი შვილი!“, „რაღად უნდა სიცოცხლე?“, „როგორ ჩამწარდა ყველაფერი!“, „ვინ დანყევლა საცოდავი?!“, და ა. შ.

— ხვალ მივიდეთ, ანი მაინც რაღას ვუშველით! — უთხრა ცოლმა ქმარს და დასაძინებლად ოთახში შებრუნდნენ.

— ერთი ის ფანჯარა მიხურე, თუ კაცი ხარ, შემცივდა რაღაც!...

— ფანჯარას კი მივხურავ, მაგრამ საწყალ ანიკოს რა ეშველება?! როგორ დაექცა ოჯახი!..

— რას უზამენ, ნეტავ, იმ ბიჭს?! დაიჭერენ, ალბათ!

— ანი რაღა უნდა უქნან?! აქამდე უნდა დაეჭირათ, თუ ასე გადარეული იყო!

— გადარეული კი არა, კაცი ის ყოფილა, ექიმი გოგო ჩაიგდო ხელში! ბედი რომ არა აქვს ადამიანს!.. აგერ რა დაემართა მაყვალას, მეტყევე ინჟინრის ცოლია პედიატრი ქალი!

— ელმირას ქმარი რომ ფსიქიატრი ყოფილა, ხომ იცი?!

— აკი, ქირურგიაო?!

— მასე მეგონა მეც! კატუშამ ჩამოიტანა ამბავი ჭიათურიდან, ჩემი თვალით ვნახე, ფსიქიატრიაო!..

— დაღუპულა და ეგ არის! ყელ-ყურის ექიმს ინუნებდა გაჭირვებული!..

ნევროპათოლოგი არ ჰყავდა დაწუნებული თუ?!. მე რომ მკითხო, ტყუილად იწუნებენ ნევროპათოლოგს! რა ნააგო ლამარამ, ცალკე დასახლდა, მანქანას ყიდულობსო!..

— ლამარას რა უჭირს, გასტროენტეროლოგია თუ რაღაცაა, თვითონაც ექიმია და ექიმს გაჰყვა, იმას რა ეშველება, რა ჰქვია... ტატიანას, სანთლით რომ დაეძებდა გინეკოლოგ რძალს და კბილის ექიმი რომ შერჩა!..

— რა ვიცი, სამედიცინო ინსტიტუტის ნინ და საავადმყო-

სპორტსმენი ცოლი

ცოლი მყავსო, მე უნდა ვთქვა! — ო, რა ძალის პატრონია!
ერთად სცემა სამ მეზობელს: ნინოს, ქეთოს, მატრონიას!..
დამჯაბნა და დამიმონა, სცენებს მინყობს იმისთანებს, —
ერთხელ, სხვისას რომ მიმბეგვა, შინ საკაცით მიმიტანეს!..
თუმცა, ჩემზე ახი არის, მის ნებაზე რომ გავუშვი!
გასაქანსაც აღარ მაძლევს და ჩამაგდო ნოკდაუნში!..
მარტო კრივი როდი იცის, ეხერხება სარმაც, კვანტიც!..
არ დამრთავენ ნებას, თორემ საჭიდაოდ გავიყვანდი!
ძიუდოს და თავისუფალს კარგადაც ფლობს, რაც მიცდია!..
ჩემთან ჩხუბში, თუ დასჭირდა, მშვენიერი სამბისტია!
ერთხელ ხელი მომიგრიხა, იატაკზე მაფართხალა!..
დაუძახა მეზობლებს და მთელ დღეს ენა ატარტალა!..
სადილისთვის მე ვფაცურობ, ის აკეთებს „მიმკლავს“,
„განმკლავს“!..
ქათამი რომ არ დავუკლა, ალბათ, ქათამივით დამკლავს!..
შინ ხელფასი როცა მიმაქვს, გადამიშლის ფიანდაზებს!..
გადავნყვიტე, გავაგზავნო ხალხთა სპარტაკიადაზე!

ვან-ცინ

მამაკაცების საყურადღებოდ!

ყოველი 8 მარტის ნინ ბევრი მითქმა-მოთქმაა იმის შესახებ, თუ როგორ მივულოცოთ ქალებს თავიანთი დღესასნაული. მეც ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე და, ცოლის გულის გასახარად, მოვიგონე შესანიშნავი რამ. თქვენც გაგიზიარებთ, იქნებ, ჭკუაში დაგიჯდეთ ჩემი რჩევა და ჩანაფიქრი!

რვა მარტამდე, ჩუმად ცოლმა რომ არ გაიგოს, მამასისხლად უნდა იყიდოთ დუბლიონკა, ლაიკის პალტო, პლატფორმები, უცხოური ლაბადა, იაპონური ქოლგა, დეზებიანი ჩექმები, ძვირფასი შარფი, მარგალიტისთვლიანი ბეჭდები და სამაჯური, ყურზე და ყელზე ჩამოსაკიდი სამკაულები (არ დაგავიწყდეთ ნარბ-ნამნამების ტუში, ქუთუთოების „ტენი“ და თმის საღებავებიც!) ყოველივე ეს წინაღამით, შეუმჩნევლად უნდა შეანყოთ კარადაში! რვა მარტს, დილით, გააღეთ კარადა და ხმამაღლა, ამაყად და პათეტიკურად ნარმოთქვით: ძვირფასო მეუღლევ! (კარგია, მამის სახელითაც თუ მიმართავთ!) გილოცავ ქალთა დღესასნაულს!

ცოლიც, გახარებული და აღფრთოვანებული, თან მოულოდნელობისგან გაკვირვებული, მოვა, გაკოცებთ და გეტყვით: გმადლობ, ჩემო ძვირფასო!

აი, ასე, სრულიად უბრალოდ და უნვალებლად გაახარებთ ცოლის გულს!

3. გურული

ნახ. ტინ ტიმაასი (ესტონეთი)

— ნუთუ, ეს ყველაფერი ჩემია?!

ფოებში კი აღამებდა და ათენებდა, თურმე!.. მოატყუეს საწყალი!

— როგორ თუ მოატყუეს?! რამ მოატყუა ამ ხნის ქალი, ხუთი თერაპევტი, სამი პედიატრი, რვა ნევროპათოლოგი და ოთხი კარდიოლოგი ჰყავდა დაწუნებული!

— მაგას არ გეუბნები, ზოგს რა ბედი აქვს და ზოგს რა — მეთქი! აგერ ჩვენმა დათუშამ ძლივს დაამთავრა სასოფლო და ვენეროლოგი ჰყავს ცოლად. ხვეტავს თურმე ის დალოცვილი ფულს!..

—ისე, როგორია ნეტა . შესახედავად ის ფილოლოგია თუ რაღაცა ჯანდაბაა, როგორი ჭირისუფალი ჰყავს?

— ვის რაში უნდა მაგის ტან-ფეხი და ჭირსაც წაუღია მაგის ჭირისუფალი! ეს ოჯახი კი დააქცია და!..

— ცოტა დაცხა! მგონია! გამოაღე პატარაზე ის ფანჯარა და დავიძინოთ აწი, თორემ გათენდება საცაა.

— ამოუწყდეს ოჯახი იმ ავაზაკს, როგორ მოუკიდა ცეცხლი ამ ხალხს!..

ე, დაიძინე ახლა, ადრე მაინც ავდგეთ და მივიდეთ!...

— რა უნდა ვუთხრათ, რით უნდა ვანუგეშოთ გაჭირვებული?!.

— დაიძინე, დაიძინე!.. საცაა, გათენდება!..

ნომადი გართაია

ვინ რას ამგზავს სიყვარულზე

● **გამყიდველი:** სიყვარულს არჩევა და კარგად აწონდა-წონვა უნდა!

● **მზარეული:** სიყვარული თუ კარგად არ შეკმაზე, ისე გემო არ ექნება!

● **მსახიობი:** სიყვარულს კარგი სცენა და თავბრუდამხვევი ტაში სჭირდება!

● **მოცეკვავე:** სიყვარულს ფრთხილად, ფეხის წვერებით უნდა შემოუარო!

● **მეზღვაური:** სიყვარული ზღვაა, ვინც ცურვა არ იცის, სიდედრი ასწავლის ბაყაყურს!

● **გადამყიდველი:** სიყვარულსა მალვა უნდა, იმპორტული საქონელივით!

● **მეთევზე:** სიყვარული კარგად მოქსოვილი ბადით თუ არ დაიჭირე, გაგისხლტება!

● **თვალის ექიმი:** სიყვარული ბრმაა, ზოგჯერ ისეთ ვინმეს მიადგება, მისი ღირსი რომ არ არის!

● **მონადირე:** სიყვარულს ზუსტად უნდა დამიზნება!

● **მძღოლი:** სიყვარული, როგორც კი დაქოქავ, იმ წუთში უნდა ჩააგდო სიჩქარეში, თორემ ადგილიდან აღარ დაიძვრება!

ალექსანდრე ბიორგობიანი

— გამარჯობათ, ქალბატონო!.. ბავშვი მინდა მოვიყვანო თქვენს ბაღში!..

— დიდი სიამოვნებით!.. დაბრძანდით, დაბრძანდით!.. რაო, რა ბრძანეთ?!

— ბავშვი მინდა მოვიყვანო თქვენს ბაღში!..

— სასიამოვნოა, ბატონო, სასიამოვნო!.. იცით, რა? ჩვენი ბაღი ძალიან გადატვირთულია, ადგილები რამდენი ხანია შეივსო!..

— მესმის, ქალბატონო! არა მარტო თქვენი ბაღი, ნებისმიერი ბაღი გადატვირთულია ქალაქში!.. გთხოვთ, გაგვიწიოთ ანგარიში!..

— სამწუხაროდ, არაფერი შეგვიძლია!.. .სად გყავდათ აქამდე ბავშვი?

— ასოთხმოცდამეორე ბაგა-ბაღში!

— მერე, გყავდეთ მანდ! რას ერჩით?! მშვენიერი ბაგა-ბაღია, კოლექტივი კარგი ჰყავს, ეზოც კარგი აქვს!..

— კი, ქალბატონო, არც მაგ ბაგა-ბაღს ვემდური, არც მის კოლექტივსა და ეზოს, მაგრამ საცხოვრებლად გადმოვდივარ აქეთ და ჩემთვის ძალიან ხელსაყრელია თქვენი ბაღი, როგორც კოლექტივით, ისე ეზოთიც!... ამიტომ დავიჭირე თადარიგი!..

— ეს რა თადარიგის დაჭერაა?!.. ხალხი წლობით დგას რიგში! რა ხნის არის თქვენი ბავშვი?

— სამის!

— ოო, მაგ ასაკის ბავშვების მიღება ძალიან გვიჭირს!..

— ქალბატონო, მე ეს და ეს კაცი ვარ!.. სხვებს ვუწყობ ბაღში ბავშვებს!..

— ვიცით, ბატონო, განა ვერ გიცანით! ხან ტელევიზორში გიყურებთ, ხან რადიოთი გისმენთ, პრესასაც ვადევნებთ თვალ-ყურს, თქვენი წიგნებიცა გვაქვს! სხვათა შორის, ძალიან მომწონს თქვენი იუმორისტული მოთხრობები, საოცრად მახვილი ენა გაქვთ! ვაი იმას, ვინც თქვენს ყბაში ჩავარდება!..

— მერე, ქალბატონო, თუ ასე მიცნობთ, თუ ასე მაფასებთ, გამიწიეთ ანგარიში, მიიღეთ ჩემი ბავშვი თქვენს ბაღში!..

— კი, ბატონო, ძალიან სასიამოვნოა, კარგადაც გიცნობთ და დიდ პატივსაც გცემთ, მაგრამ ძალიან გადატვირთულები ვართ, თანაც ჩვენ ასე არ ვიღებთ ბაღში ბავშვებს!..

— აბა, როგორ იღებთ, ქალბატონო, ამიხსენით, იქნებ ვიღონოთ რამე?!

— უნდა დაარეკვინოთ ვინმეს, ან უნდა მოიყვანოთ!..

— ქალბატონო, ქუჩაში მეგობარი მელოდება, ლუდზე უნდა წავიყვანო!.. შემოვიყვან ბარემ!..

— შემოიყვანეთ!

— თუმცა... წვერი რომ არა აქვს გაპარსული?!.

— არა უშავს, ვინ უყურებს მაგის წვერს?!.

— ქალბატონო, იქნებ სჯობდეს, დავარეკინო ქუჩიდან?!

— თქვენი ნებაა!

— ქალბატონო, ორკაპიკიანი ხომ არ გექნებათ?

— ვნახოთ, თუ მაქვს... ათკაპიკიანს მოგცემთ!.. ქუჩიდან თუ ვერ დარეკა, აქ შემოიყვანე და საექიმო კაბინეტიდან დამირეკოს, მესამე ოთახია, მარჯვნივ!..

— გმადლობთ, ქალბატონო!..

გასა გეგია

ჭაგუკას ამოცანა

გულით უნდოდა ჭაბუკს დედას,
რომ მუსა წმენდილთოვის გული დედო,
წასულიყო ჭედარიოო გაკვეთილზე და
მასწავლებლისთვის ეკრა დედელ!
ჭაბუკს დედიაზენი, რასაკვირველია,
ცუდსა ნაზნეზს ამაკეთ..
კალასს ხელმძღვანელნა ავე — ოკაზს,
ოქეი — რაკოლ და რაზმეკულ მიმართა!
ალაპარაკეა მოელი ხალოა,
ალაპარაკეა ყველა!..
ხუკალზეძ ეკან დაზეკულს
მაშინვე ხეირდებოდა ზეელა!
ბაეკი კი ინეა გაკვეთილზე ეზეკილად
და ხალ ხმეა ჩაოკასაბს ხანიდა.
კარიდან, რახ? — მოდით ფა, ჩაეზეკეთ
ჭაბუკს ამოცანის არსს:
... მაკაცო მასწავლებლის
ვარცხლის გულკანდა
(ათი სანტიმეტრი დიამეტრით),
საზეკეთა ეკეკეთნოთ და
ეკლარენეთ, რა ღირს?
ეურთხამეკეთ, ბაკალი ოკროხი,
ახიე საზეკეთა ეკარხენეთ, რა ღირს ?
თითთსამეკეთ მბრეკეთანეი და
ათასეეარსზეეეანა, რა ღირს?
სამეკეთი, ვეეს, ვარცხლისა,
ძეირანი თვლეთო ზოქედილი, რა ღირს?
(აქ, ზეიანდა, ანიე ოთეკან, რომ
ეკბუკას ეკერეთი ზეკეთ ეოგარსანაკ
ოდაზეკეეეი ოკოეე კითხეა!
ორე ან ეზარეეი მასწავლებელეს და
ეერთიოდა ბაკეზეკეი ოიცნეეთ:
ეკეეზარდები და — ზეე საკეკეთელი,
ნაეკის ხეხაკი, ავეკოსწყლეთ!)
...ეო, ინაა ეკამბილი,
ეკბუკა სიზნელის ენაზე ფიდა
და, როგორე ყოველოვის, ბაზეკედა
ალეკოა ბაზეკს მიმართა!
ბეერი ინკალეა ინაანეკ!...
ხალ ოკო, ხალ ანა, ოოვიდა
ბაზეკ ხაჩინეკ.
ბაგრან რა?! — ეერე ერთი ვერ მიხვდა,
რაკდენი ნულეა ხაკრარი!..
ბერე ოკკეს: „ეეანეკალდ,
ეერ ვიანკარიშეთ ინაოთ ფაზინ!
ახე მორთული მასწავლებელი
ჩვენ არ ვკეოოლა
და ამიკაკე არ ზეკეკეეერია
ინაინ მზკვანინ!"
ეაკეეზეა გავიდნენ ხეხიანეკ —
ბეხია ქეთო და ბეხია ილია!
ხაკკალეზეი ხაკმაოდ კარგად
გარკვეულნი მანდილანსენი.
ეერე მაო გიოეეს, ხეთ რა ფიეედ
ბაკეკეკ ბაზმაოლეს
ბოდეი ეს ოკერი-ვარეკეთ-ბრალანტა-
ხაფერარინ-ბარკან-ზეერეეტეკ-
ხარდიინ-ძოზ-ოლალ-ეაკეთინენინ!..
ეერე გაკეკეფნენ, ფაფდნენ და
დაზეერეს ხაერთი ეარილი —
ფედ-ბამინა და ბეხია-ზეხეეეინ
ხალმოეზერილი —
„ეალილ ძეერა-ფეხო ბაკეკეო!
დიეხნენი მორთეა-ბოკეზეკ და
ერთ ეეთს ეურაკალეკს გვიბოძეთ:
რაკი ეკოხრეო ეოიძეერის ეზანინა ინალილი,
მოდით და, ბიდანინ ძმოძეკერეთ!"

ლალი მარტაკოვილი

ნახ. ბ. ფირცხალავავი

უსიტყვოდ

სარვამარტო ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიიესა

მოკვდები ანუ მოსაუბრე პირები:
ქალთამბაქა მარტიანელი — პირველი ინტერვიუერი.
გიორგია ალალაშვილი — მეორე ინტერვიუერი.
ნაზა ნარნარაძე — მესამე ინტერვიუერი.
ინტერვიუს იძლევა ქალია სქესის დიდი თავვანისმცემელი
კაცია ქალებზადაყოლილი.

I ინტერვიუერი: ბატონო კაცია, ქალება თქვენი დიდი სიყვარულია და ყურადღებით სარგებლობენ. რაში გამოიხატება ეს?

კაცია (გამხიარულებულია): ჩემი ხანმოკლეა, მაგრამ შეგეტყვება ცხოვრების მანძილზე ქალებისთვის თვალი არ მოშიცლია. გარდა ამისა, მყოლია (რასაკვირველია, სხვადასხვა ფრსა) 4 შვეცარებული, 6 ცოლი და 40 საყვარელი. თუ ჯანმა არ მიღალატა, არ დაგამაფოფილებენ მიღნეულთან, ოღლინდ, თქვენ, ქალებმა, უნდა დამიჭირონი მხარი!

III ინტერვიუერი: თუ უნერხული არ იქნება, ბრძანეთ, საკუთარ ოჯახში როგორ აღნიშნავთ 8 მარტს?

კაცია: ვერ ვიტყვი, რომ ამ დღეს მეუღლე უყურადღებობას იჩენდეს ჩემსა მიმართ. მიუხედავად ამისა, რომ უამრავი საქმე აქვს. ერთი ხანტყვთ, შესანიშნავად ვსარგებლობ მისი ყოველი სიკეთით.

აშენდეს იმის ოჯახი, ვინც ეს ქალთა დღე მოიგონა კაცებისთვის!

I ინტერვიუერი: თუ შეიძლება, ქალმა აუხსნას სიყვარული მამკაცს?

კაცია: რატომაც არა! მე მზადა ვარ!

II ინტერვიუერი: სამზარეულოში თუ შედიხართ ხოლმე?

კაცია: როგორ არა! მეუღლე კერძებს რომ დაამზადებს და დამიძახებს, შევდივარ ხოლმე! **(კაციას სახე უნათდება).**

III ინტერვიუერი: ცოლის მიმართ თუ ხართ ყურადღებიანი?

კაცია: აბა, არა? უმემოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს!

I ინტერვიუერი: რომელი სპექტაკლი მოგწონთ?

კაცია: „ქორეული ცოლის მორჯულება!"

II ინტერვიუერი: სიტყვამ მოიტანა და, ქორეულ ცოლებზე რას იტყვით?

კაცია: ცოლების ქორეულობამ გამიჩინა **(ფურცელი ილუმს და კითხულობს)** პიპერტონია, იშემია, ნერვოზი, სკლეროზი, შტერიზი...

III ინტერვიუერი: რა არის თქვენი იდეალი?

კაცია: ჩემი ცოლის სარგამარტდ გამომცხვარი ტორტი „იდეალი"!

I ინტერვიუერი (გაბრაზებით): თუ გრძნობთ სინდისის ქენჯნაკ თქვენი საქციელის გამო?

კაცია: როგორ არა! რაც მე ყოფილ ცოლებსა და სიდედრებს კაკალი ვუგორე, მისი ფასი ბაზარში 20 მანეთი ბღდა!

(ქალები გაბრაზებული გაფიან. ჯერ კარები იხურება, მერე — ფარდა, მაგრამ, იმედია, არაკაცი კაცია ვერ დაიმალება ფარდის მიღმა).

ალმანზორ თავაკე

ბავშვისა ოხუნჯი!..

როგორც მოველოდი, ყველფერი ისე დაიწყო: ფირეკტორის მდივანმა კარი შემოალო, ფერფლისფად შეღებული თავი შემოყო, შეღებული თვალები ოთახში მიმოატარა და მერე მე მომაჯარო, წარბები აბეგრა, პომადიანი ტუჩები დაბეჭერა და...

ელდა ჩეეი, თვალები დაეხუჭე... „ახლა მეტყვის, პირდაპარ მომახლილ!.."

— ბიბარებს! — მხილოდ ეს მთხრა და კარი გაიხურა.

ბეღლაჩეროლეზეთ წამოვდექი, ეჭალე სისუტტს, ხელ-ფეხს რომ მიბორკავდა და უკან მიეკეეი მდიგანს. ბრძალ ფერეფანში მიეგეპეზეი და საბრძოლო განწყობილებეპა მეეფდებოდა.

„გამოდის, რომ მართალი მითხრეს... ჩემი ადგილი, ალბათ, სხეისთვის უნდა

„შეჯიბრი აქვთ მხვნელ-მთესველებს!“ —
ეს სტრიქონი, წაკმართული,
გამახსენდა! — ჩვენთანაც ხომ
შეჯიბრია გამართული!..

შეჯიბრი აქვთ სხვანაირი —
ჩემს მეზობლებს, ნათესავებს,
შრომის ოფლი არ ჩამოსდით,
არც ხნავენ და არც თესავენ!..

— „ალო! ალო! გესმის, ალა?!
სასიკვდილემ, აგერ, ნუცამ,
ო, რა სპალნა მოიტანა!
შენ რა ჰქენი?! ჩაგეფუშა?!“

— „გეკადრება?! მოდი, ნახე! —
შენი ნუცა რას მოიტანს
იმისთანას, მე რომ გუშინ
მოვიტანე საწყობიდან!“

— „ალო! ალო! სად ხარ, ქალო?!
მოდი, ნახე, მოკვდი ბრაზით! —
აგერ ეკამ იმპორტული
მოიტანა უნიტაზი!“

— „უნიტაზი?! იმისთანას
სად იშოვის ეკა, ნეტავ,
მე რომ მიდგას!.. მის უკეთესს
რას ნახავ და რას შეხედავ?!“

— „ალო! ალო! გესმის, ანა?!
დავურეკავ და გავჯორავ! —
შენთვის უნდა მოეტანათ,
მიუტანეს მინადორას!“

— „არა, არა, რასა ბრძანებთ,
გმადლობთ, ჩემზე რომ იზრუნეთ!
სანამ მაგას მიუტანდნენ,
მე ვნახე და დავინუნე!“

— „ალო, ნინო! გაგიგია?!
რომ იცოდეთ, ალბათ, მოთხრით! —
ძლიერ მიკვირს, თქვენ არ გაქვთ და
მას გამოჰყავს... ოცდაოთხი!“

— „როგორ ბედავს?! ალბათ მივა
საქმე ცხვირის დანაყვამდე!
მაგის ქმარი შიშით კვდება
ჩემი ქმარის დანახვაზე!“

ალო, მართა!.. ალო, ეკა!..
მოიშორეთ თვალზე ლიბრი! —
ზევით, ქვევით, აქ და ყველგან
ღრღნის ქვეყანას ცოლთშეჯიბრი!

ზოთა როყვა
(ქ. ბათუმი)

ოგელო და დეზდემონა

ანამედროვე კომფორტაბელური ბინის საძინებელი ოთახი. კედლის საათი 12-ს აჩვენებს. საწოლში წამომჯდარი, წინადღის სმისგან სახეშეშუპებული, თავნაკრული, თეთრკანიანი ოტელო მრისხანედ იმზირება.

— დეზდემონა! სად არის ჩემი ჯინსები?!.

— **ქიმწმენდაში წავიღე, ვაჟბატონო! წუხელისაც ოთხით მობრძანდი!**

— დუბლიონკა?!

— **საერთოდ არ მოგყოლია!**

— ოჰ, წყეულიმც იყავ, შექსპირო! რა ჩემდა ჭირად მოიგონე ეს თარსი დეზდემონა?! პირდაპირ საინფარქტო ინფორმაცია უნდა მაჯახოს ყოველ პახმელიაზე!

— **შენმა მზემ! საექსპორტო „ბორჯომს“ მოგართმევდი ლოგინში! პადუმაეშ?! ღამის ორ საათამდე არ მობრძანდება, ლოდინში ღამე უნდა ვტეხო, დილის 6-ზე კიდევ ის უნამუსო კასიოს კნეინა მირეკავს, ჩემი ქმარი თქვენსას ხომ არ ინვა წუხელისო! წარმოგიდგენია?!. იაგომ მითხრა, ერთად სვამდნენ და, ალბათ, მერე თავისთან წაიყვანდაო. მე ვუთხარი, ლოთი და ბასიაკი ჩემი ქმარიც მეყოფა, ისღა მაკლია, სხვისი ქმრებიც მე ავიკიდო მოსავლელად, აქ ვიტრეზვიტელი ხომ არა გგონია მეთქი?! იმან კიდევ, იცი, რა მაკადრა? ოხ, სუფთა გოიმი ვარ, შენ რომ გამოგყევი!..** (დეზდემონა ერთხანს გაჩუმდა).

— რაო, ბოლო-ბოლო, ამოღერღავ თუ არა?!

— **რაო და... ოჰ, რატომ არ გაუხმება ის უსირცხვილო ენა! სწორი ხარ, ჩემო დეზდემონაო, მითხრა, მთვრალი კასიო რაში გამოგადგებოდა ღამითო. აი, რა მითხრა!** (სახეზე სათუთად მოვლილ ხელებს აიფარებს და ოტელოს ნაჩუქარ ცხვირსახოცს ცრემლებით ალბობს).

— **მაგას მე მოვუვლი! ისე კი ღირსი ხარ, დეზდემონა, მაგ სიტყვებისა! ღირსი ხარ-მეთქი! შენ კარგად იცი, რამდენი მიზის ეს ტელეფონი და ჩემი ძმაკაცების ცოლებს მაინც ეგრე ნაგლად ელაპარაკები?!**

— **მაშ, შენ არაფრად მიგაჩნია ჩემი გაპაზორება?!** (ასლუკუნდება).

— **მოვუვლი-მეთქი, აკი გითხარი!**

— **რისი მომვლელი შენა ხარ, ნეტავ?! საკუთარი ტანსაცმლისთვის ვერ მოგივლია!..**

სიბრაზისაგან გაცეცხლებული ოტელო „კოსმოსს“ გააბოლებს. დეზდემონა ფანჯარას აღებს და ნაღვერად გადასწევს ფარდას.

იმედი ჯახუა

ნახ. მ. აბაშიძისა

სარვამარტო სადღეგრძელო

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

თუ გადავრჩები, ნეტავი?!

გასულ წელს ცოლი შევირთე!
ცამ სიხარული მოთოვა!..
„დუბლიონკა“ და „ტროიკა“
მეორე დღესვე მომთხოვა!
გამაპანჩურებს, მიმბეგვავს, —
უსიტყვოდ გავილურსები! —
დამთავრებული ჰქონია,
თურმე, კარატეს კურსები!
ახლა საყურე მინდაო,
ათგრამიანი, ოქროსი!
სხვა სიგარეტებს იწუნებს, —
უნდა მივართვა „კოსმოსი“!
ხად გაიზარდა ასეთი
პრეტენზიული, დიდგული?!
დღეს ჯიქურ გამომიცხადა: —
მიყიდე თეთრი „უიგული“!
ერთი სოფლელი ბიჭი ვარ,
ჩემს გაჭირვებას მიხვდებით! —
მამამისს არ მოუცია
ერთი კაპიკის მზითევი!
გთხოვთ, მიპასუხოთ, რადგანაც
ასეთი ბედი მეახლა:
თუ გადავრჩები, ნეტავი,
რომ გავათხოვო ხელახლა?!

გრ. არუელი

შ ე კ ი თ ხ ვ ა

ოცი წლის მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვებრძოდი ჩემს ქმარს — ღვინჯუა არაყიშვილს — ღვინისა და სიგარეტისათვის რომ თავი დაენებებინა! ოცწლიანი უკომპრომისო ბრძოლა ჩემი ტრიუმფალური გამარჯვებით დაგვირგვინდა: ჩემი მეუღლე არც სვამს და არც ეწევა! მართალია, ამ გამარჯვებაში ღვინჯუას ინფარქტებმაც შემიწყო ხელი, მაგრამ ეს ანგარიშში ჩასაგდები არ გახლავთ.

ახლა მე თქვენ გეკითხებით: მეკუთვნის თუ არა გმირი ცოლის წოდება ოცწლიან ღვინისმდვრელ ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვებისათვის?

მარადი ომიაძე

გია და მზიკუნა

იყო და არა იყო რა, ამის უკეთესი რა იქნებოდა, იყო გია და მზიკუნა.

გიას და მზიკუნას უყვარდათ ერთმანეთი.

გია და მზიკუნა ერთმანეთს ყოველდღე ზღაპრებს უყვებოდნენ.

გიას და მზიკუნას თავიანთი გზა ჰქონდათ ცხოვრებაში და იმ გზას მიჰყვებოდნენ.

გიამ და მზიკუნამ იცოდნენ, რომ ბრიყვები იყვნენ ჭკვიანები და ჭკვიანები ბრიყვდებოდნენ.

გიას და მზიკუნას უყვარდათ ერთმანეთი:

გიას — გია და მზიკუნას — მზიკუნა;

და, რადგან გიას გია უყვარდა და მზიკუნას — მზიკუნა,

გიას და მზიკუნას უყვარდათ გია და მზიკუნა.

იყო და არა იყო რა, ამის უკეთესი რა იქნებოდა, იყო გია და მზიკუნა.

ბარი-ბურბალე

უსიტყვოდ

ნატოს ნატვრა

ვინატრე:
16 წლისა გავთხოვილიყავი!
გავთხოვდი!
გათხოვების შემდეგ ქმარს სახლვარგარეთ მოგზაურობაში გავეშვი! —
გამიშვა!
საზღვარგარეთიდან წამომეღო ჯინსის შარვლები, ტყავის პალტოები და სხვა მოდური ტანსაცმელი! —
წამოვიღე!
ბავშვი გამეჩინა! —
გავაჩინე!
ბავშვის გაზრდა დედაჩემისთვის დამეკისრებინა! —
დავაკისრე!
ქმარი კარგ დიასახლისად აღმეზარდა! —
აღვზარდე!
ქმრის მშობლები ხელზე მოსამსახურეებად მექცია! —
ვაქციე!
კონიაკისა და შამპანურის სმა და სიგარეტის წევა დამეწყო! —
დავიწყე!
სხვის ქმრებზე მენადირა! —
ვინადირე!
ბოლოს, ამ მიღწევების შემდეგ ვინატრე, ნადირობის ქალღმერთი დალი, ან სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე გავმხდარიყავი! —
შენც არ მომიკვდე, არ გამომივიდა!

ნატოს ნატვრა ჩაიწერა
აკაკი ქავზინაძემ

წერილების კვალდაკვალ

ქალაქ ჭიათურის ავტოსადგურის შენობაში სახურავიდან წყალი ჩამოდის, გამეფებულია ანტისანიტარია, ადგილი აქვს რეისების ჩაშლის შემთხვევებს! — სწერდნენ რედაქციას.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეა. ამჟამად სადგურის სახურავი შეკეთებულია, მიმდებარე ტერიტორია — დასუფთავებული, რეისის ჩაშლის შემთხვევაში მარშრუტზე იგზავნება სარეზერვო ავტობუსი.

ქალაქში შენდება ავტოსადგურის ახალი შენობა, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წელს.

●

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში **აღნიშნავდნენ** მდინარე **წყალწითელას დაბინძურების ფაქტებს.**

ტყიბულის სახალხო დეპუტატების **საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან** მოგვწერეს, რომ წერილი, ძირითადად, სინამდვილეს შეეფერება: ხრესილის ხილკენკროვანი ღვინოების ქარხანას არა აქვს გამწმენდი ნაგებობა. წყალი, ნარჩენებთან ერთად, ჩაედინება მდინარე წყალწითელაში.

აღნიშნული საკითხი გასული წლის სექტემბერში განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის შესახებ.

კურსების გრანიტის ქარხანას უკვე გაუკეთდა ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობა. მიღებულია, აგრეთვე, ზომები სხვა, მცირე წარმადობის გრანიტის ქვის საამქროებიდან მდინარე წყალწითელას დაბინძურების აღსაკვეთად.

●

დუშეთის **რაიონის** **სოფელ აშის** **მცხოვრებნი** **თავიანთ** **წერილში** **ითხოვდნენ** **სასოფლო** **გზების** **შეკეთებას,** **სახმელი** **წყლის** **გაყვანას,** **მაღაზიის** **გახსნას.**

სახალხო **დეპუტატთა** **რაისახბჭოს** **აღმასკომმა** რედაქციას აცნობა, რომ სოფელ აშის მიმართულებით გზის შეკეთება-კეთილმოწყობის სამუშაოებს აწარმოებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №1 ტრესტის მცხეთის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო. ეს სამუშაო მიმდინარე წელს დამთავრდება. წელსვე დაიწყება წყალსადენის გაყვანა.

აღმასკომმა რაიკოოპკავშირს დაავალა სოფელ აშში სასურსათო და პირველი მოთხოვნილების საქონლის მაღაზიის გახსნა.

●

სასოფლო **გზების** **შეკეთების** **საკითხებზე** **რედაქციას** **მოსწერეს,** **აგრეთვე,** **ამბროლაურის** **რაიონის** **სოფელ** **სხარტალიდან.**

სახალხო **დეპუტატთა** **რაისახბჭოს** **აღმასკომიდან** გვაცნობეს, რომ სოფელ სხარტალში მისასვლელი გზის შეკეთება გათვალისწინებულია 1983 წლისათვის ხოტევის სასოფლო საბჭოს თანხებით და კოლმეურნეობის მონაწილეობით.

ხოტევის ავტომატური სატელეფონო სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებით მოგვარდება აგრეთვე სოფელ სხარტალის ტელეფონიზების საქმეც.

●

სოფლის **კეთილმოწყობისა** **და** **მოსახლეობის** **საყოფაცხოვრებო** **მომსახურების** **გაუმჯობესების** **საკითხებზე** **რედაქციას** **მოსწერეს** **საგარეჯოს** **რაიონის** **სოფელ** **დუზაგრამიდან.**

სახალხო **დეპუტატთა** **რაისახბჭოს** **აღმასკომიდან** გვაცნობეს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად სინამდვილეს შეეფერება.

საგზაო საწარმოო უბანს (უფროსი — **მ. ჭურხული**) დაევალა, 1983 წლის პირველ ნახევარში შეაკეთოს ბადიაურ-იორმუღანლოს ცენტრალური გზის დაზიანებული მონაკვეთი და კაპიტალურად შეაკეთოს ხიდი მდინარე იორზე. სოფლის შიდა გზების პერიოდულად შეკეთება დაევალოს იორის სანერგე მეურნეობას.

იორის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას დაევალა, უმოკლეს ვადაში შეადგინოს სოფლის აბანოს სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, ხოლო შეკეთება დამთავრდეს 1983 წლის პირველ ნახევარში.

№ 267
12.IV 83

რა ფასი აქვს ამისთანა ქორწილს?!

ჯერ დასხდნენ და ჩამონერეს სია — ძალზე გრძელი,
მათი, ვისაც ეს ოჯახი დიდ ქორწილში ელის.
არ დატოვეს თითქმის არვინ, იცნობდნენ კი ვისაც!
ამოდენა ხალხი ერთად, დე, მივიდეს მტრისას! —
ამხანაგი სკოლის, ეზოს, რესტორნის თუ ბაზრის,
ბიცოლების ნათლიები, ქვისლის დების მაზლი,
ყვავი-ჩხიკვის მამიდები, ძმისშვილები მათი!.
სთხოვეს, ახლდეს ყოველ მათგანს ახლობელი ათი,
შინაური, გარეული და მოყვრები მოყვრის,
ოჯახს ვისი მობრძანებაც სიამაყეს მოჰგვრის!..
კარს მოადგა გასულ შაბათს მოწვეულთა ჯარი,
მასპინძლებთან, მეზობლებთან ფაციფუცი არის!
იმდენია მექორწილე, „ჩოთქზეც“ ვეღარ დათვლი!
ნაცნობს მაინც ვერ მიაგნებ, რომც ეძებო სანთლით!
მტერ-მოყვარე გაარჩიო, არის ძალზე ძნელი,
გრძელი სეფა გეგონება ბოროდინოს ველი!..
არეულა ერთმანეთში სიმღერა და ცეკვა!..
იქვე, გვერდით, თამაშობენ „აჩკოსა“ და „სეკას“.
არის კარტის ტყლაშუნი და რახარუხი ნარდის!..
ოცდაათი მერიქიფე გაოფლილი დარბის!..
დგას თექვსმეტი თამადა და ჭიმავს ყელის ძარღვებს,
მიკროფონის ღრიალი კი სივრცეს ხევს და არღვევს!..
აქეთ ისმის „ოი, ნანა“, იქით — „ტურფავ, ტურფავ!“
ვიღაც ყვინთავს საცივში და ნითელ თვალებს ქუფრავს!..
თამადა რომ ნინაპართა აქებს წესს და ქცევას,
უყურებენ და ელიან, როდის ნაიქცევა!..
ვისღა ახსოვს პატარძალი?! ვისღა ახსოვს ნეფე?!
სეფის ზემოთ ყაყანია, ქვეშ ძაღლები ყეფენ!..
გადამთვრალი მეზობლებით სავსე არის ეზო
და ისეთი ქაოსია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!
სვამენ ყანწით, კათხით, ჯამით, ლამპის შუშით, ვაზით!..
მერიქიფე სტუმრებს ახრჩობს, მასპინძელს კლავს ბრაზი!..
შემწვარი და მოხრაკული მოაქვთ მსუყედ, ჭარბად! —
იმდენია, მთელ არმიას ეყოფოდა, ალბათ!
დახვავებულ ხორაგისგან სუფრა იზნიქება
და ოჯახის მისამართით ყალბი ისმის ქება!..
ვუცქერ მიბმულ მაგიდებს და არ ვუჯერებ თვალებს:
ამდენ საჭმელს, ამდენ სასმელს ვინ შეჭამს და დალევს?!
ღვინომ ჩხუბის საღერღელიც აუშალა ხალხს, ჭრელს,
ოცი კაცი მიბეგვეს და ათი მძიმედ დაჭრეს!..
ყვირილი და ჩოჩქოლია!.. იგინება ვიღაც!..
ნივის, კივის ქალი, კაცი! ვინ თმას იგლეჯს, ვინ — ღაწვს!..
აირია ყველაფერი, გადაბრუნდა სეფა!..
პატარძალი ბედს ინყევლის, ნეფე — დაბადებას!..
შავ წყალს მიაქვს მთელი ხარჯი — პური, ღვინო, ხორცი!..
მეგობრებო, რა ფასი აქვს ამისთანა ქორწილს?!

ვანო ცინცაძე

ფიქრები!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქალბატონი არა“

„ქედმაღლური“, „უხეში“, „თვითდაჯერებული“, „ვტრული“ — გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ ცნობით, ასე ახასიათებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში აკრედიტებული დიპლომატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ქალბატონ ჯინ კირკპატრიკის ქცევის მანერას. მას ერთსულოვნად შეარქვეს „ქალბატონი არა“. ყურადღებას მიაპყრობენ აგრეთვე მის საოცარ გაუთვითცნობიერებლობას საგარეო საქმეებში. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს ქალბატონ კირკპატრიკს ატაროს პროფესორის, პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტის წოდება, რის შესახებაც, წერს გაზეთი, მას ძალიან უყვარს ხოლმე შეხსენება.

მაცდუნებელი პრივილეგია

კანადის გაზეთი „სიტიზენი“ იუწყება, რომ ინგლისში კანადის ელჩს — ქალბატონ ჯინ უოდს დიდი პატივი მიაგეს: მიანიჭეს ლონდონის საპატიო მოქალაქის წოდება. ეს ტიტული მთელ რიგ პრივილეგიას აძლევს მის მფლობელს, მათ შორის, უფლებას — აძოვოს ცხვარი ლონდონში და გადარეკოს ფარა ლონდონის ხიდზე, ისარგებლოს თავშესაფრით, თუ ამ ტიტულის მფლობელი საარსებო სახსრებს დაკარგავს. მის მცირენლოვან შვილებს უფლება ეძლევათ, ისწავლონ რჩეულთა სკოლებში. იმ შემთხვევაში, თუ საპატიო მოქალაქე, როგორც ეს აღნიშნულია უფლებათა ნუსხაში, ცეცხლს ნაუკიდებს ლონდონის დოკებს, ჩაიდენს მუხანათური ღალატის აქტს, მას მაინც რჩება პრივილეგია — ჩამოხრჩობილ იქნეს... აბრეშუმის თოკით!..

ჟურნალი „ნოვოე ვრემია“



ნახ. ედგარ ვალტერისა (ესტონეთი)

83-267

ნ

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №5 (1638) მარტი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამხონია, ბეჟან ხიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **გიგლა ფირცხალავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი** (მთავარი რედ. მოადგილე). **ნაფი ჯუხოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 8. 2. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 3. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 381 უე 00029 ტირაჟი 136.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

„საშიში უმუშევარი"

ნახ. გ. ლომიძისა